

საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში „სტუდენტური თვითმმართველობა“) არის „უმაღლესი გამათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად შექმნილი სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უშუალოდ უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით.
- 1.2 სტუდენტური თვითმმართველობა არ არის იურიდიული პირი. სტუდენტურ თვითმმართველობას ეკრძალება პოლიტიკური ან რაიმე სახის სამეწარმეო საქმიანობა.
- 1.3 სტუდენტური თვითმმართველობა არის უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ დებულების შესაბამისად.
- 1.4 სტუდენტური თვითმმართველობის და მისი ორგანოების ფორმირების წესი და პირობები განისაზღვრება ამ დებულებით.
- 1.5 უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ აქვს უფლებამოსილება ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.
- 1.6 სტუდენტური თვითმმართველობის მისამართია: ქ.თბილისი, ი. ჭაჭავაძის გამზირი, მეორე ჩიხი 5^ა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) უნივერსიტეტი - შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო;
- ბ) სტუდენტი - პირი, რომლის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩაირიცხა უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- გ) სტუდენტური თვითმმართველობა - უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;
- დ) პრეზიდენტი - უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;
- ე) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- ვ) სტუდენტური თვითმმართველობის კლუბები - სტუდენტური თვითმმართველობის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების განხორციელებას.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

- ა) უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვაში;
- ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები, როგორც უნივერსიტეტის შიგნით ისე მის გარეთ;
- გ) ხელი შეუწყოს სტუდენტების უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და განმტკიცებას;

- დ) შეიმუშაოს წინადადებები უნივერსიტეტის მართვის სისტემის და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- ე) შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა სოციალური, კულტურული, სპორტული, დასვენებისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;
- ვ) ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნოსისა და კონფესიის სტუდენტების დაახლოებასა და მულტიკულტურული გარემოს შექმნას უნივერსიტეტის სივრცეში;
- ზ) ურთიერთობები დაამყაროს დაგააღრმავოს სხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობებთან და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან;
- თ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ყველა საჭირო ინფორმაციით.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია:

- ა) ხელი შეუწყოს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
- ბ) შეიმუშაოს წინადადებები უნივერსიტეტის მართვის სისტემის დასწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- გ) განახორციელოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები და პროექტები სტუდენტური ცხოვრების განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით;
- დ) ითანამშრომლოს უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო და სხვა სახის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ე) ამ დებულების შესაბამისად შექმნას სტუდენტური კლუბები.

მუხლი 5. თვითმმართველობის სტრუქტურა

თვითმმართველობის შემადგენლობაში შედის:

- ა) თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- ბ) თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი;
- გ) თვითმმართველობის საერთო კრება;
- დ) თვითმმართველობის სტუდენტური კლუბები.

მუხლი 6. თვითმმართველობის პრეზიდენტი

6.1 თვითმმართველობის პრეზიდენტი არის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს თვითმმართველობის საერთო კრებას და წარმოადგენს თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

6.2 თვითმმართველობის პრეზიდენტი:

- ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;
- ბ) იწვევს და თავმჯდმარეობს თვითმმართველობის საერთო კრებას;
- გ) თანამდებობაზე ნიშნავს ვიცე-პრეზიდენტს;
- დ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობისას;
- ე) ხელს აწერს თვითმმართველობის საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- ვ) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ დოკუმენტებს;
- ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს განკარგულებებს;

თ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ამ დებულებასა და უნივერსიტეტის ნორმატიულ აქტებს.

6.3 სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობის ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა;

გ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;

დ) გარდაცვალება;

ე) სასამართლოს მიერ მხარდამჭერის მიმღებად ცნობა, გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება.

6.4 თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ „უმაღლესი გამათლებლის შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის ნორმატიული აქტების ან ამ დებულების უბში დარღვევის შემთხვევაში, საერთო კრებამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, აღნიშნული საკითხის დასმის უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა საერთო კრების 1/3, ხოლო გადაწყვეტილებას თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ იღებს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების წევრთა 2/3.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი

სტუდენტური თვითმმართველობა შედგება ვიცე-პრეზიდენტისგან, რომელიც ეხმარება პრეზიდენტს მისი უფლებამოსილების შესრულებაში და კოორდინაციას უწევს სტუდენტური კლუბების საქმიანობას. ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს პრეზიდენტის თანხმობის, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან პრეზიდენტის უფლება-მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში. ვიცე-პრეზიდენტს თანამდებობაზე ნიშნავს პრეზიდენტი.

მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება

8.1 სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტური თვითმმართველობის ყველა წევრისაგან.

8.2 სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება ტარდება სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. თვითმმართველობის საერთო კრებას იწვევს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

8.3 შესაძლებელია ჩატარდეს სტუდენტური თვითმმართველობის რიგგარეშე საერთო კრება, რომლის მოწვევის უფლებამოსილება აქვს თვითმმართველობის პრეზიდენტს და საერთო კრების წევრთა 1/4.

8.4 თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება თვითმმართველობის წევრთა 2/3, ხოლო გადაწყვეტილება წევრთა საერთო კრებაზე მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია საერთო კრების თავმჯდომარის ხმა.

8.5 თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღი და დღის წესრიგი თვითმმართველობის წევრებს უნდა ეცნობოთ არაუმეტეს 7 დღით ადრე.

8.6 თვითმმართველობის საერთო კრებას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი.

8.7 თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით დაამტკიცოს თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა.

ბ) დაამტკიცოს და შეიტანოს ცვლილებები/დამატებები თვითმმართველობის დებულებაში.

გ) ამ დებულების შესაბამისად მოახდინოს თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება.

დ) განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის „უმაღლესი გამათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და ამ დებულებას.

მუხლი 9. თვითმმართველობის სტუდენტური კლუბები

9.1 უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კლუბები შედგება ოთხი ძირითადი კლუბისგან:

ა) კლუბი ლიბერტას - უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას;

ბ) განათლების, მეცნიერების და კულტურის კლუბი - გეგმავს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს;

გ) სპორტისა და ხელოვნების კლუბი - ახდენს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა სპორტულ და სახელოვნებო ღონისძიებებში, გეგმავს სტუდენტთა განტვირთვისათვის ექვსკურსიებსა და ტურებს;

დ) მონიტორინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კლუბი - უზრუნველყოფს თვითმმართველობის საქმიანობის კონტროლსა და სტუდენტურ თვითმმართველობის სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში.

9.2 სტუდენტური თვითმმართველობის კლუბებს ხელმძღვანელობენ თითოეული კლუბის კოორდინატორები, რომელთა არჩევაც ხდება ამ დებულების შესაბამისად.

9.3 სტუდენტური თვითმმართველობის კლუბის შექმნა შეუძლია თვითმმართველობის ნებისმიერ წევრს, თუ იგი მოაგროვებს უნივერსიტეტის სტუდენტების 30% ხელმოწერას და წარადგენს სტუდენტური კლუბის სამოქმედო გეგმას.

მუხლი 10. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა

10.1 სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის უფლება აქვს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩაირიცხა უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის მსურველი სტუდენტი ავსებს განაცხადს სტუდენტური თვითმმართველობაში გასაწევრიანებლად (დანართი 1), რომელსაც წარუდგენს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს.

10.2 სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლება-მოვალეობანი:

10.2.1 სტუდენტური თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს მონაწილეობა თვითმმართველობის საქმიანობაში, გახდეს სტუდენტური კლუბის კოორდინატორი ან წევრი;

ბ) ისარგებლოს ხმის უფლებით საერთო კრებაზე;

გ) ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შექმნას და კოორდინაცია გაუწიოს სტუდენტურ კლუბს;

დ) წარადგინოს მოსაზრებები და პროექტები;

ე) მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;

ვ) განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რომელიც არ ეწინააღმდეგება „უმაღლესი გამათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის შიდა ნორმატიულ აქტებსა და ამ დებულებას.

10.2.2 სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

- ა) აქტიური მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის საქმიანობაში;
- ბ) შეასრულოს ამ დებულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- გ) დაიცვას უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტები, ეთიკის წესები, გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ავტორიტეტს.
- დ) დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებას.
- ე) დაიცვას უნივერსიტეტის კონფიდენციალური ინფორმაცია.

10.2.3 სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლება-მოვალეობის ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- გ) გარდაცვალება;
- დ) სასამართლოს მიერ მხარდამჭერის მიმღებად ცნობა, გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება.

მუხლი 11. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევის წესი

11.1 სტუდენტური თვითმმართველობა აირჩევა ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი პირდაპირი არჩევნების საფუძველზე.

11.2 თვითმმართველობის არჩევნები ტარდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

11.3 სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

11.4 სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება იწყება თვითმმართველობის პრეზიდენტისა და თვითმმართველობის კლუბების კოორდინატორთა არჩევის შემდეგ და უფლებამოსილება უწყდება თვითმმართველობის ახალი პრეზიდენტისა და თვითმმართველობის კლუბების კოორდინატორთა არჩევისთანავე.

11.5 მორიგი თვითმმართველობის არჩევნების, სასწავლო წლის არაუგვიანეს 1 დეკემბრისა, უნივერსიტეტის ის სტუდენტი, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის არჩევნებში, უფლება აქვს დარეგისტრირდეს თვითმმართველობის პრეზიდენტის ან რომელიმე სტუდენტური კლუბის კოორდინატორის კანდიდატად, რომელმაც სარეგისტრაციო განცხადება (დანართი 2, დანართი 3) არჩევნებში მონაწილეობის შესახებ უნდა წარუდგინოს თვითმმართველობის მონიტორინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის კლუბის კოორდინატორს.

11.6 მორიგი თვითმმართველობის არჩევნების, სასწავლო წლის არაუგვიანეს 20 დეკემბრისა, გაიმართება სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტისა და სტუდენტური კლუბების კოორდინატორების არჩევნები. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტისა და სტუდენტური კლუბების კოორდინატორები აირჩევა უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი პირდაპირი არჩევნების საფუძველზე.

11.7 სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის სტუდენტთა სულ ცოტა 20 %.

11.8 სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობისა და სტუდენტური კლუბების კოორდინატორობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს უნივერსიტეტის სტუდენტთა ხმათა უმრავლესობას.

მუხლი 12. საარჩევნო კომისია

12.1 ყოველი მორიგი თვითმმართველობის არჩევნების, სასწავლო წლის არაუგვიანეს 10 დეკემბრისა თვითმმართველობის საერთო კრება ვალდებულია აირჩიოს თვითმმართველობის საარჩევნო

კომისიის 5 წევრი, რომელიც განახორციელებს მონიტორინგსა და კონტროლს თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობის პროცესზე;

12.2 საარჩევნო კომისია ვალდებულია თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებიდან 2 დღის განმავლობაში დადოს დადებითი ან უარყოფითი დასკვნა არჩევნების მიმდინარეობის შესახებ;

12.3 თუ საარჩევნო კომისიის დასკვნა უარყოფითია და დარღვევები არსებითი, თვითმმართველობის თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს თვითმმართველობის საერთო კრება, სადაც უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ;

12.4 საარჩევნო კომისიის დადებითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 დღისა უნდა მოხდეს საარჩევნო ხმების დათვლა და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა. საარჩევნო ხმის დათვლის პროცედურა უნდა ჩატარდეს საარჩევნო კომისიის მიერ, რომელსაც ასევე უნდა ესწრებოდეს, თვითმმართველობის პრეზიდენტი და ყველა სტუდენტური კლუბის კოორდინატორი;

12.5 საარჩევნო შედეგები უნდა გამოცხადდეს ხმის დათვლის პროცედურის დამთავრებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში.

მუხლი 13. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსება

სტუდენტური თვითმმართველობა შეიძლება დაფინანსდეს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯებიდან, ნებაყოფლობითი შემოწირულობებიდან, სპონსორებისაგან მიღებული ან სხვა სახის დაფინანსებისაგან, რაც არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციასა და მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 14 დასკვნითი დებულებები

14. 1. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის დებულებებით.

14. 2. ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება წინამდებარე დოკუმენტში შედის თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

14.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ხელმოწერისთანავე.

თარიღი: 25/12/2018

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი: მანანა ბელქანია